პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№

ქალაქი ქუთაისი ______ ______ აგვისტო ______ 2022 წელი

**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №442-№450 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის --- აგვისტოს
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | სარეგისტრაციო ნომერი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 442 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა №21-ის სამხრეთით | 5534.00 | 03.01.24.563 |
| 443 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №2ა-ს (აბანოს სახლი) ჩრდილოეთით | 211.00 | 03.01.24.107 |
| 444 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით | ქალაქი ქუთაისი, რუას ქუჩა №55 (ნაკვეთი №1) | მიწა -5029.00 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1 | 03.02.23.386 |
| 445 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით | ქალაქი ქუთაისი, რუას ქუჩა №55 (ნაკვეთი №2) | მიწა - 7937.00 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1; №2; №3; | 03.02.23.385 |
| 446 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით | ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №108 | მიწა - 1478.00 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-№5 | 03.04.30.444 |
| 447 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით | ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37. სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთი №1-1 | მიწა - 770.00 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1 – 854,46 კვ.მ | 03.04.26.173 |
| 448 | არასაცხოვრებელი ფართი | ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №24 | 207,23 კვ.მ | 03.05.01.106.01.501 |
| 449 | არასაცხოვრებელი ფართი | ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №12 | 1158,14 კვ.მ | 03.05.01.269.01.501 |
| 450 | მოძრავი ქონება ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი თან ერთვის) | - | 14 ერთეული | - |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი

| № | ა/მანქანის მარკა , მოდელი | გამოშვების წელი | სახელმწიფო ნომერი | საიდენტიფიკაციო WIN |
|---|---|---|---|---|
| 1. | TOYOTA COROLA 1.4XLI | 2007 | DD-035-PP | JTNBM58E502004555 |
| 2. | TOYOTA CARINA | 1991 | LIS-799 | JTIEAT17100188282 |
| 3. | HYUNDAI ACCENT 1.4 | 2006 | QET-330 | NLHCN41AP7Z018805 |
| 4. | OPEL ASTRA | 1995 | YIY-626 | WOL000051S2671488 |
| 5. | MITSUBISHI MONTERO | 2002 | QKS-001 | JA4MT21H82J046983 |
| 6. | VAZ - 2107 | 2007 | OBO-230 | - |
| 7. | FORD FOCUS 1.6 | 2005 | OBO-227 | WF0TD34L46VR85001 |
| 8. | MERSEDES-BENC C-180 | 1994 | XOX-474 | WDB2020181F137374 |
| 9. | AUDI A4 | 1996 | GGT-255 | WAUZZZ8DZTA139490 |
| 10. | DAIHATSU TERIOS | 1997 | ZZ-757-BB | J100G005841 |
| 11. | JEEP GRAND CHEROKEE | 1999 | AA-100-IP | IJ4GW48S3YC149100 |
| 12. | ავტობუსი პაზ 4234-00 | 2004 | CSC-298 | - |
| 13. | HYUNDAI SONATA | 2012 | TT-707-TQ | KMHEC4A46CA056623 |
| 14. | LANDCRUISER LC150 | 2011 | CC-707-QQ | JTEBU3FJ805022020 |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

*განმარტებითი ბარათი*

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს განკარგულების პროექტის დანართში მითითებული უძრავი ქონება. მიზანშეწონილია, განხორციელდეს მათი პრივატიზება ან სარგებლობაში გაცემა. ზემოხსენებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი